

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი  
სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი  
სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი



შეფასების რუბრიკა

- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი ფასდება 0-40 ქულით;
- გამოცდაზე წარმოდგენილი თითოეული მოცემულობა ფასდება 0-100 ქულით;
- დასკვნითი გამოცდის შეფასების დასაანგარიშებლად წარმოდგენილი მოცემულობების შეფასებების საშუალო არითმეტიკული უნდა გავყოთ 2,5.

(აქ გამოიყენება ფორმულა:  $\frac{S}{X} = \frac{100}{40}$ ;  $\frac{S}{X} = 2,5$ , ე.ი  $X = \frac{S}{2,5}$ , სადაც S მოცემულობების შეფასებების საშუალო არითმეტიკულია)

თუ სტუდენტმა სილაბუსის მიხედვით დადგენილი წარმოსადგენი მოცემულობების ნომინალურ რაოდენობაზე ნაკლები წარმოადგინა, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლისას წარმოდგენილი მოცემულობა ფასდება 0 - ით, ხოლო ნომინალურ რაოდენობაზე მეტის წარმოადგინისას, მოცემულობების შეფასებების ჯამი იყოფა მათ საერთო რაოდენობაზე.

შესაძლო მაგალითები:

1. სტუდენტი ვალდებული იყო გამოცდაზე წარმოედგინა 7 მოცემულობა, რომლებიც შეფასდა შემდეგი ქულებით: 76, 89, 45, 90, 79, 48 და 67, ამ შემთხვევაში შეფასებათა საშუალო არითმეტიკული შეადგენს:

$S = \frac{76+89+45+90+79+48+67}{7} = 70,5 \approx 71$  (დაახლოებითი მნიშვნელობაა), ხოლო დასკვნითი გამოცდის შეფასება იქნება  $X = \frac{71}{2,5} = 28,4 \approx 28$  ქულა.

2. სტუდენტმა ნაცვლად სავალდებულო 7 მოცემულობისა წარმოადგინა - 5 (სავალდებულო რაოდენობაზე ნაკლები) რომლებიც შეფასდა შემდეგი ქულებით: 89, 45, 90, 79, 48, ამ შემთხვევაში:  $S = \frac{89+45+90+79+48}{5} = 50$ , ხოლო დასკვნითი გამოცდის შეფასება  $X = \frac{50}{2,5} = 20$  ქულა.

3. თუ სილაბუსით დადგენილი 7 სავალდებულო მოცემულობის ნაცვლად სტუდენტმა წარმოადგინა 9, რომლებიც შეფასდა შემდეგი ქულებით 76, 89, 45, 90, 79, 48, 67, 99 და 98, ამ შემთხვევაში:  $S = \frac{76+89+45+90+79+48+67+99+98}{9} = 76,7 \approx 77$ , ხოლო დასკვნითი შეფასება  $X = \frac{77}{2,5} = 30,8 \approx 31$  ქულა.

- 0,5 - მდე მრგვალდება ნაკლებისკენ, ხლო 0,5 და შემდეგ - მეტისკენ.